



გალტი & თავარიძე

მშენებელი მშენებლობის



ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

8 ოქტომბერი 2024



ევა ბოჭორიშვილი


კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

კახა სამყურაშვილი

სექტორული კვლევების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge





ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასი 2021 წლის იანვრიდან
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	247.5	+0.0%	+37.5%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	71.8	-8.9%	-6.8%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	9,692.0	+6.3%	+14.5%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,285.0	-2.3%	-3.7%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,416.3	-1.4%	+2.4%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,634.6	+5.2%	+27.7%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	44.0	-0.4%	+41.1%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	210.0	-0.9%	-19.9%	

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2024 წლის სექტემბერში ნავთობის ფასი თვიურად 8.9%-ით შემცირდა. მიუხედავად რამდენიმე დადებითი ფაქტორისა, ფასებმა დაბალი მოთხოვნისა და მოსალოდნელი მაღალი მიწოდების გამო კლება განაგრძო. ინვესტორების ყურადღება ახლო აღმოსავლეთისკენ, აშშ-სა და ჩინეთის ცენტრალური ბანკებისა და OPEC-ის მიწოდებისკენ იყო მიპყრობილი. სექტემბერში ფასის კლება ოქტომბრის პირველივე დღეებში დაფიქსირებული მატებით გადაიფარა, რაც ისრაელს, ჰეზბოლასა და ირანს შორის გამწვავებული კონფლიქტის შედეგია.


ისრაელმა ჰეზბოლაზე წნეხი გააძლიერა. თავდაპირველად, ათასობით პეიჯერისა და რაციის აფეთქებით დაჯგუფების საკომუნიკაციო არხებს შეუტეეს, რის შემდეგაც მასობრივი სარაკეტო შეტევით უმაღლესი პოლიტიკური ლიდერი მოკლეს. საბოლოოდ კი, ისრაელმა პირველ ოქტომბერს ლიბანის ტერიტორიაზე სახმელეთო შეტევა წამოიწყო. საპასუხოდ ირანმა ისრაელის მიმართულებით 180 ბალისტიკური რაკეტა გაუშვა, რამაც რეგიონში სიტუაცია კიდევ ერთხელ გამწვავა. სიახლე ნავთობის ფასებში უმაღლეს აისახა (+5.5% ორ სავაჭრო სესიაში 1-2 ოქტომბერს). 3 ოქტომბერს ფასი კიდევ 5%-ით გაიზარდა ჯო ბაიდენის განცხადების შემდეგ, რომ აშშ განიხილავს დაუჭიროს თუ არა მხარი ისრაელის მიერ ირანის ნავთობ-ინფრასტრუქტურაზე თავდასხმას.

მოლოდინისამებრ, ფედერალურმა რეზერვმა საპროცენტო განაკვეთების შემცირება დაიწყო, რამაც ნავთობის ფასი მცირედით გაზარდა, რადგან დაბალი განაკვეთები ეკონომიკურ აქტივობას და ნავთობის მოხმარებას ახალისებს. დამატებით, ჩინეთის მთავრობამ ეკონომიკის გამოსაცოცხლებელი ახალი პაკეტი გამოაცხადა. ჩინეთის დაბალ მოთხოვნას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა აქვს ნავთობის ფასზე.


მეორეს მხრივ, ლიბიაში კონფლიქტი განელდა - მხარეები ცენტრალური ბანკის ახალი ღირებულების არჩევანზე შეთანხმდნენ. შესაბამისად, ახლო მომავალში ქვეყნის ექსპორტის შეუფერხებლად გაგრძელება მოსალოდნელი. მსგავსად, მიწოდების ზრდაა მოსალოდნელი საუდის არაბეთისგანაც. აქამდე სამეფოს არაოფიციალური სამიზნე ფასი ერთ ბარელზე \$100 იყო, თუმცა, მიუხედავად წარმოების ნებაყოფლობითი შემცირებებისა, ფასი კლებას განაგრძობდა. დამატებით, სხვა წყაროებიდან მიწოდების ზრდის გამო საუდის არაბეთი საბაზრო წილსაც კარგავდა. Financial Times-ის მიხედვით, სამეფო \$100 მიზანს ივიწყებს და დეკემბრიდან წარმოების ეტაპობრივ ზრდას იწყებს.

შესაბამისად, სექტემბერში ფასის კლება მოთხოვნისა და მიწოდების მიმართ უარყოფითი მოლოდინების შედეგი იყო. თუმცა, დაბალმა განაკვეთებმა და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტმა შესაძლოა ტრენდი სწრაფად შემოაბრუნოს. წინასწარი გათვლებით, ფასი ერთ ბარელზე \$7-28 ფარგლებში შეიძლება გაიზარდოს და ზომა დამოკიდებული იქნება რეგიონში სიტუაციის ესკალაციის სიძაფრეზე.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



იმპორტის მოცულობა წლიურად 6.6%-ით გაიზარდა 8თვ24-ში და 792 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 10.7%-ით არის გაზრდილი.

წყარო: ბლუმბერგი

წყარო: საქსტატი



ენერჯეტიკა

ბუნებრივი აირი


2024 წლის სექტემბერში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 0.4%-ით შემცირდა. მიუხედავად ჯამური მცირე კლებისა, ფასი თვის მეორე ნახევარში 11.1%-ით გაიზარდა, რაც ზამთრის მარაგებისა და ცივი ამინდების გამო მოთხოვნის პოტენციური ზრდის რისკების დამსახურება იყო.

სუჭას (უკრაინის მიერ დაკავებული ქალაქი კურსკის ოლქში) გავლით რუსული გაზის მიწოდება სტაბილურია, მაგრამ კურსკის რეგიონში სამხედრო ოპერაცია კვლავ აქტიურია, რაც ბუნებრივი აირის მყიდველებს სიფრთხილისკენ უბიძგებს. ამ მიწოდების სამომავლო ბედი ჯერ ისევ გაურკვეველია. როგორც წინა მიმოხილვებში აღინიშნა, რუსეთ-უკრაინას შორის ტრანზიტის ხელშეკრულება 2024 წლის ბოლოს იწურება. ამ ეტაპზე უცნობია როგორ და თუ გახანგრძლივდება/განახლდება კონტრაქტი. მხარეებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს, თუმცა რაიმე ხელშეკრულება ინფორმაცია საჭაროდ ცნობილი არ ხდება. აღსანიშნავია, რომ შეთანხმების მიღწევის გარანტიები არ არსებობს, რადგან რუსული გაზსადენის გამოყენების გაგრძელებით ევროკავშირი შესაძლოა რეპუტაციული ზიანის მიღებას რისკავდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული გაზსაცავები 94%-ით სავსეა (სამიზნე 90% მაჩვენებელზე მეტი), ნებისმიერმა მოულოდნელმა შეფერხებამ შესაძლოა ფასი მარტივად გაზარდოს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მოთხოვნის პოტენციური ზრდა ევროპასა და სხვა რეგიონებში. ოქტომბრის ცივი ამინდები გაზსაცავების შევსებას შეანელებს, რადგან მეტი ბუნებრივი აირი იქნება გამოყენებული გათბობისთვის. დამატებით, ნორვეგიულ გაზსადენზე კვლავ მიმდინარეობს სამუშაოები, რაც მიწოდებას დროებით ამცირებს, თუმცა სრული დატვირთვით მუშაობის გაგრძელება მალე ივარაუდება. შესაბამისად, თუ წლევანდელი ზამთარი წინასთან შედარებით უფრო ცივი და ხანგრძლივი იქნა, მოთხოვნა მნიშვნელოვნად მაღალი დაფიქსირდება. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება თუ აზიის კონტინენტზეც ცივი ზამთარი დადგება, რადგან ევროპა და აზია (სხვა რეგიონებთან ერთად) LNG-ის შესყიდვებში ერთმანეთის მსხვილი კონკურენტები არიან.


ამ ეტაპზე, ბუნებრივი აირის ბაზარი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს სტაბილურობას, თუმცა მოთხოვნის მოსალოდნელზე მეტად ზრდის შემთხვევაში, მარტივად შეიძლება ამ მდგრადობის ცვლილება. მეორეს მხრივ, ნაკლებად ცივი ზამთრის პირობებში, არსებული მარაგების დამსახურებით, ევროპა უმტკივნეულოდ და მარტივად შეძლებს გათბობის სეზონის გადალახვას.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 19.7%-ით შემცირდა 8თვ24-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 6.3%-ით შემცირდა 6/6.

წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო


2024 წლის სექტემბერში ოქროს ფასი თვიურად 5.2%-ით გაიზარდა. ძვირფასმა მეტალმა სექტემბრის ოთხივე კვირაში შეძლო ახალი რეკორდის დამყარება, რაც ძირითადად საპროცენტო განაკვეთების კლების, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის და ინდური მოთხოვნის შედეგი იყო.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიუხედავად, ოქროს ფასი ზრდას განაგრძობდა. შესაბამისად, ახლა როცა კლების ციკლი დაიწყო, ძვირფასმა მეტალმა ფასის ზრდის ახალი ფაქტორი შეიძინა. აშშ-ს ფედერალურმა რეზერვმა სექტემბერში განაკვეთები 50 ბპს-ით შეამცირა. მოგვიანებით, აშშ-ს მაკროეკონომიკურმა მონაცემებმა ბოლო სამი წლის განმავლობაში მომხმარებელთა განწყობის ყველაზე დიდი შემცირება აჩვენა, რაც ფედერალური რეზერვის მხრიდან ახალი შემცირებების წინაპირობა შეიძლება იყოს. ამ ეტაპზე, ტრეიდერები წლის ბოლომდე აშშ-ს განაკვეთების 75 ბპს-ით კლებას ელოდნენ, რაც კიდევ ერთ 50 ბპს და ერთ 25 ბპს-იან კლებებს ნიშნავს. დამატებით, ევროპის ცენტრალური ბანკიც განაგრძობს კლების ციკლს და სექტემბერში განაკვეთები 25 ბპს-ით შეამცირა. მსხვილ ეკონომიკებში კლებადი განაკვეთები ოქროს ფასისთვის დადებითია, ვინაიდან ის მეტად კონკურენტული ხდება დაბალგანაკვეთიან სახაზინო ობლიგაციებთან. შესაბამისად, სექტემბრის ბოლოს ინვესტორების ოქროს ყიდვის პოზიციები 4-წლიან მაქსიმუმამდე გაიზარდა.

მაღალი განაკვეთების პირობებში ოქროს ფასის ზრდის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი არსებული გეოპოლიტიკური რისკები იყო. ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის ბოლო გავითარებამ ნაკლებად რისკიან აქტივებში (მათ შორის ოქროში) ინვესტიციები გაზარდა. შესაძლო დამატებითი ესკალაციების, აშშ-ში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების და სხვა არსებული რისკების ფონზე ოქროს ფასი, სავარაუდოდ მატებას განაგრძობს.


დამატებით, როგორც წინა მიმოხილვაში აღინიშნა, ფუნდამენტური ფაქტორები (ფიზიკურ ოქროზე მოთხოვნა) ჯანსაღად გამოიყურება. ოქროს ინდური მოთხოვნა მეტად სამომხმარებლო ხასიათით გამოირჩევა, ვიდრე საინვესტიციო. შესაბამისად, წლის განმავლობაში ფასის უწყვეტი ზრდა ქვეყნის მოთხოვნას ამცირებდა. თუმცა, ივლისის ბოლოს მთავრობამ ოქროს იმპორტზე გადასახადი 9 კპ-ით შეამცირა. ეს ოქროს იმპორტის ზრდაში მალევე აისახა და აგვისტოში იმპორტირებული ოქროს ღირებულებამ რეკორდული \$10.1 მლრდ შეადგინა. მაღალი მოთხოვნის შენარჩუნება თებერვლამდეა მოსალოდნელი, ვინაიდან სექტემბერი-თებერვალი ინდოეთში ქორწილებისა და ფესტივლების სეზონია, რაც დივალის ფესტივალთა იწყება.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 5.5%-ით შემცირდა 8თვ24-ში. გლობალურად ფასის ზრდამ ექსპორტის საშუალო ფასზე იმოქმედა, რომელიც წლიურად 22.6%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატის

2024 წლის სექტემბერში ამონიუმის ნიტრატის ფასი ერთ ტონაზე \$247.5 შენარჩუნდა. სასუქებზე მოთხოვნის ზრდა მიმდინარე წელს 2023 წლის მაჩვენებლებს ჯერ კიდევ ჩამორჩება. აგრო-ნედლეულზე (ხორბალი, სიმინდი, სხვა) კლებადი ფასების ფონზე, ფერმერებისთვის სასუქების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი შემცირდა. RaboBank-ის მიხედვით, მოთხოვნა 2024 წელს მხოლოდ მცირედით გაიზარდა და ეს ტრენდი 2025-2026 წლებშიც გაგრძელდება. დამატებით, მნიშვნელოვანია ბუნებრივი აირის ფასების დინამიკა, ვინაიდან მისი ფასის ზრდა სასუქების ხელმისაწვდომობას, პროდუქციის ღირებულების ზრდის გამო, კიდევ უფრო შეამცირებს.

ხორბალი


2024 წლის სექტემბერში ხორბლის ფასი თვიურად 0.9%-ით შემცირდა. კიევის განცხადებით, რუსულმა რაკეტამ უკრაინული ხორბალმზიდი დააზიანა შავი ზღვის ნეიტრალურ წყლებში. რუსეთის მიერ ხორბლის საექსპორტო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა არახალია, თუმცა დატვირთულ-დაძრულ გემზე თავდასხმა პირველად მოხდა. შემთხვევამ ხორბლის ფასი გაზარდა, მაგრამ მალევე ისევ დაიკლო, რადგან მიწოდება შეუფერხებლად გაგრძელდა. ამასთან, მსხვილ მწარმოებლებში ცუდი ამინდი და ჩინეთში დაბალი მოთხოვნა ერთმანეთს მეტ-ნაკლებად აბალანსებს. თუმცა, სამომავლოდ მოთხოვნა-მიწოდების დინამიკის აცდენა ფასებს მარტივად შეცვლის.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 28.1%-ით შემცირდა 8თვ24-ში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა 8.9%-ით არის გაზარდილი, ხოლო საექსპორტო ფასი მნიშვნელოვნადაა შემცირებული (-33.9%).

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 30.4%-ითაა გაზარდილი 8თვ24-ში, ხოლო მოცულობა 51.1%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-13.7% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის სექტემბერში სპილენძის ფასი თვიურად 6.3%-ით გაიზარდა. ჩინეთში გამოცხადებულმა დახმარებების პაკეტმა და აშშ-ში დამატებით მოსალოდნელმა განაკვეთების კლებამ მეტალების ბაზარზე ფასების ზრდა გამოიწვია. მათ შორის, სპილენძის ფასი ერთ ტონაზე დროებით \$10,000-საც გადაცდა. მაკრო ფაქტორები წითელი მეტალისთვის დადებითად გამოიყურება, თუმცა გასული გაზაფხულის ზრდისგან განსხვავებით, ტრეიდერები ახლა მეტ სიფრთხილეს იჩენენ. ამასთან, სპილენძის მწარმოებლები მომავალი დეკადის განმავლობაში დეფიციტის გამძაფრებას ელიან, რამაც შესაძლოა ენერგო-ტრანზიციის დროებით „გადადოს“. BHP-ის მიხედვით, AI დატა ცენტრების გაჩენამ სპილენძზე მოთხოვნა წლიურად შესაძლოა 3.4 მლნ ტონით გაზარდოს 2050 წლისთვის.

ფეროსილიკონი


2024 წლის სექტემბერში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 1.4%-ით, ჩინურის კი 2.3%-ით შემცირდა. მიუხედავად კლებისა, ჩინეთის დახმარების პაკეტმა სენტიმენტი მცირედით გამოაკეთა. მეორეს მხრივ, ფასების მნიშვნელოვანი ზრდისთვის, ინიციატივების ეფექტურობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. გლობალურად დაბალი ფასები ქართველ მწარმოებლებზეც აისახა. „ჯორჯიან მანგანუმი“ ფეროშენადნობების წარმოების 60%-ით შემცირებას გეგმავს, „ჯეო ფერო მეტალი“ კი ფასების დინამიკის გამო პროდუქციის განახლებას, ამ ეტაპზე, არ აპირებს.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზე დამოკიდებული. 2023 წლის კლების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა დაბალ ნიშნულზეა 8თვ24-ში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნობების ექსპორტის ღირებულება წლიურად 91.1%-ით, მოცულობა კი 102.3%-ით გაიზარდა 8თვ24-ში და 191k ტონა შეადგინა.

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლებელია მისი წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლებელია მხარის უპუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვას.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge